ქ. თბილისი, არარტის ქ. №19-ში მდებარე შენობისა და მიმდებარე განაშენიანების მხატვრულ-არქიტექტურული ანალიზი

ქ. თბილისი

2018წ

ობიექტი, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, მდებარეობს თბილისის ერთ-ერთ ძველ და სენსიტიურ ადგილას. საპროექტო ტერიტორია და მიმდებარე განაშენიანება, XIX ს-ის დასაწყისში შუასაუკუნეებრივი ქუჩათა ქსელზე განვითარდა და მათ კონფიგურაციას იმეორებს. დღეს ეს ტერიტორია თბილისის ისტორიული ნაწილის მკაცრი დაცვის ზონაში – ძველი თბილისის გამგეობის შემადგენლობაშია, ხოლო ისტორიულად ავლაბარს ეკუთვნის.

ამჟამად ავლაბარი თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე განლაგებული ვრცელი რაიონია. თავდაპირველად იგი ისნის (მეტეხის) ციხე-სიმაგრეს მიკედლებულ უგალავნო ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც XVIII საუკუნის II ნახევარში, ერეკლე II-ის მეფობის ხანაში შემოისღუდა გალავნით. ვარაუდობენ, რომ სახელწოდება „აელაბარი" XIV საუკუნიდან გავრცელდა (პირველი წერილობითი საბუთი სადაც მას მოიხსენიებენ 1392 წლით თარიღდება). სიტყვა „ჰავალი" არაბულად მიდამოა, ხოლო „ბარე" ზღუდეს, გალავანს ნიშნავს. მაშასადამე „ავლაბარი" გალავნის იქითა მიდამოს, გარეუბანს გულისხმობდა.



ავლაბარში სახლობდნენ მეფის, თავადაზნაურთა და საეკლესიო ყმა-გლეხები. განვითარებული იყო ხელოსნობა. აქ ქართველებთან ერთად სომხები, სპარსელები, ბერძნები ცხოვრობდნენ. XVIII საუკუნეში ლეკთა თარეშის გამო ავლაბარი თითქმის დაცარიელდა, რადგან ლეკები თბილისს უმეტესად ამ მხრიდან ესხმოდნენ, ხოლო აღა-მაჰმად-ხანის შემოსევების დროს (1795წ.) ავლაბარი თითქმის მთლიანად განადგურდა.

1800 წელს პორუჩიკ ჩუიკოს მიერ შედგენილი თბილისის გეგმა გვიანფეოდალური პერიოდის დაგეგმარების დადგენის საშუალებას იძლევა, რადგან მასზე განსხვავებული ფერითაა გამოყოფილი ის უბნები და ნაგებობები, რომლებიც აღა-მაჰმად-ხანის შემოსევების დროს განადგურდა. შიდაავლაბრის დაგეგმარება მკვეთრად განსხვავდებოდა თბილისის სხვა ნაწილების ქუჩათა ქსელისგან. იგი ერთგვარად რეგულარულ ხასიათს ატარებდა.



მიუხედავად იმისა, რომ ამ უბანმა ბევრი ცვლილება განიცადა, დღემდეა შემორჩენილი გვიანფეოდალური ქალაქის ქუჩათა ქსელი და ძველი განაშენიანების კვალი – ისტორიული ციხესიმაგრის ნაშთები, გვიანფეოდალური პერიოდის დამცავი კედლები, შუასაუკუნეების პერიოდის ეკლესიები, XIX-XX სს-ის საცხოვრებელი სახლები, ძველი (XVII-XVIII ს.) სარდაფები და სხვ. მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია განაშენიანების მასშტაბი და მორფოლოგია.

ქალაქის ამ ნაწილის ძირითად მხატვრულ-არქიტექტურულ სახეს ბარათაშვილის აღმართზე გადმოკიდებული განაშენიანება ქმნის.

შუასაუკუნეებში ჩამოყალიბებული ქუჩათა ქსელი თითქმის უცვლელად არის შემორჩნილი, თუმცა განაშენიანება ძირითადად XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება. უშუალოდ საკვლევ მონაკვეთზე კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ნაგებობებია: არარატის შეს. №6 და არარატის ქ. №9, თუმცა იქვე სიახლოვეს მდებარეობს ქართული მართლმადიდებლური წმ. მარინეს სახლობის ეკლესია და სომხური ეჩმიაძინის ტაძარი.



მიკრორაიონში მდებარე განაშენიანებას ახასიათებს XIX საუკუნის თბილისური სახლებისათვის დამახასიათებელი არქიტექტურული ელემენტები და სივრცითი სტრუქტურა, კერძოდ ქუჩის მხარეს მიმართულ ფასადზე არსებული შეკიდული ხის აივანები და ღია თუ დახურული ტიპის ეზოებში განვითარებული ღია გალერეებისა და ხის კიბეების სისტემა, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ შენობები უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია და მრავლობითი გადაკეთებებისა და მოუვლელობის შედეგად თითქმის დაკარგული აქვთ აუთენტური ღირებულება.

ურბანული ქსოვილი

ისნის ფარგლებს გარეთ ქალაქის განაშენიანება პირველად XIII საუკუნის დასაწყისში აღინიშნება. სწორედ ამ დროს ჩნდება თანამედროვე ავლაბრის ტერიტორიაზე პირველი კვარტალები. რაიონის საფუძვლიანი ათვისება XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში დაიწყო, სწორედ ამ პერიოდის არის უბნის ძირითადი ურბანული ქსოვილი, რომელიც არარეგულარული ერთგვარი ხასიათით გამოირჩევა, რასაც ძირითადი ღერძები, ქუჩები, მცირე სივრცე "მოედნები" და ჩიხები ქმნის. სწორედ ურბანული ქსოვილი განსაზღვრავს უბნის და ამ შემთხვევაში მიკროკვარტლის ძირითად გამომსახველობას.



თუმცა განაშენიანების ისტორიული სურათი ერთგვარად XX საუკუნის შუა ხანებში ქალაქგეგმარებითი აუცილებლობიდან გამომდინარე იცვლება, ციციანოვის აღმართის გაჭრისა და მიმდებარე განაშენიანების დაღუპვის ხარჯზე.



განაშენიანების აღწერა

აველაბრის წარმოდგენილი ნაწილის დღევანდელი განაშენიანება წარმოადგენს XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ერთ-ორ სართულიან სახლებს. სტილისტურად ეს სახლები წარმოადგენენ ევროპულ არქიტექტურას კლასიკური ელემენტებით. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა სახლმა შეინარჩუნა ნაციონალური იერ-სახე. მიუხედავად ამისა, ბოლო დროინდელმა ჩარევებმა, ერთგვარად შეცვალა განაშენიანების საერთო ხასიათი. განსაკუთებით XX ს-ის მე II ნახევარში განხორციელებულმა

მასშტაბურმა ჩარევებმა, დააკნინა საერთო ისტორიული სურათი. ამას ემატება ე.წ. "თავისუფალი არეები", რომლელიც სავალალოდ გამოიყურება.



სამწუხაროდ დროთა განმავლობაში, მოუვლელობამ, არასწორმა ჩარევამ, გარემო-პირობებმა, ხანდაზმულობამ შენობათა ფიზიკური მდგომარეობა საგრძნობლად დააზიანა. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია არმაზის ქ. №12/27-ში მდებარე შენობა, რომელიც მაღალმხატვრული ღირებულებით გამოირჩევა და სასწრაფო სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარებას ითხოვს.

კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები

ერთი შეხედვით, აღნიშნული მიკრო კვარტალი კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა სიუხვით არ გამოირჩევა, მიუხედავად ამისა, მრავლად არის ობიექტები, რომლებიც სხვადასხვა მახასიათებლების გამო განაშენიანებისათვის

ღირებულებას წარმოადგენენ. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული შემდეგ ობიექტებს: არმაზის ქ. №12/27; არარატის ქ. №6; არარატს ქ. №9; (საპროექტო მიკრო კვარტალის მიმდებარედ: გელათის ქ.№21; №13;№11;არმაზის ქ. №3). განაშენიანებისათვის ფონური ნაგებობებია: არარატის ქ. №19;12;6 (სიღრმეში არსებული შენობა).

საპროექტო ტერიტორიაზე ზემოთადნიშნული კულტურული მემკიდრეობის ძეგლები და ობიექტები მნიშვნელოვან მონაკვეთებშია კონცენტრირებული, ისე რომ მათი ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალი (ქვედა მონაკვეთში არარატის ქუჩაზე) ერთმანეთს ედება.

საპროექტო ობიექტი

არარტის ქ. №19-ში მდებარე შენობა, ორსართულიანი, კლასიცისტური სტილის არქიტექტურის ნიმუშია, რომელსაც ფასადსა და ეზოს მხარეს საკმარისად აქვს შემონახული ღირებული აუთენტური ელემენტები, რის გამოც მას ფონური ნაგებობის სტატუსი აქვს მინიჭებული.



შენობა არარატის მცირე ქუჩის განაშენიანების საერთო ხაზში ორგანულად ერთვება. თავისი პროპორცია-მასშტაბით აყალიბებს კიდეც ქუჩის მარცხენა ფლანგის მასშტაბს. შენობა ძირითადი ფასადით არარატის ქუჩას ეხსნება, გვერდით მას მცირე ჩიხი ესაზღვრება, რომლიდანაც მის შიდა ეზოში და ალაზნის ქუჩაზე შეიძლება გასვლა.



ორსართულიანი, მოკრძალებული პროპორციის შენობა სარდაფის გარეშეა. რელიეფის არათანაბარი მდებარეობის გამო, ქუჩის მხარეს პირველი სართული ნახევარსარდაფის სახით გამოდის, ხოლო ეზოს მხარეს ის სრული სართულით იხსნება.

ფასადის მხრიდან სახლს თაღოვანი თავსართებით შემოფარგლული ძველი ღიობების კვალი ეტყობა, რომლებიც შემდგომ რკალური ფორმის

ღიობებით არის ჩანაცვლებული. ნალესობის მიღმა ფასადზე იკვეთება ძველი აგურის წყობის ორიგინალური ნახატი, რომელიც ასევე სიძველეზე, ანუ XIX ს-ის I ნახევარზე მიგვანიშნებს. ასევე სიძველის მაჩვენებელია ძველი აგურის კედლის წყობა.



ფასადი მოკრძალებული კომპოზიციით გამოირჩევა, რომლის მხატვრულ გამომსახველობასაც თავდაპირველად ძველი ქართული აგურის, საკმაოდ ფაქიზი წყობა განაპირობებდა. კომპოზიციის საერთო სტრუქტურაში, მხატვრულ თუ არქიტექტურულ აქცენს, მარცხნივ განთავსებული სადარბაზოს უჯრედი თამაშობს. სადარბაზოს უჯრედი, როგორც მნიშვნელოვანი ელემენტი უმნიშვნელოვანესი რგოლია შენობის გეგმარებითი სტრუქტურის შედგენაში. გამჭოლი კიბის უჯრედი, გეგმის თვალსაზრისით მარტივი ანყვილადის მარცხენა მონაკვეთს იკავებს და ეზოს მხარეს ღია ხის აივანს უერთდება. აივანზე რამდენიმე მოზრდილი ოთახი გამოდის. თავად აივანი ფართეა, ხის საკმაოდ მძლავრი დორიული სვეტებით გახსნილი ეზოს მხარეს. აივანზე გამომავალი

კედლები 6 თაღოვანი ფორმის ღიობით აქცენტირდება. ღიობების რაოდენობა და თაღების ფორმა, ფასად'ხე არსებულ ღიობთა პარალელ'ურად ვითარდება. თაღები საკმაოდ მძლავრია ნალესობაში ამოყვანილი პროფილით, რომელიც მარტივ ლავგარდანს ეყრდნობა. ლავგარდანი ფაქტიურად აერთიანებს კედელს და ერთგვარ ჰორიზონტალურ აქცენტს ქმნის.





ძალზედ საინტერესოა ელემენტად გვეჩვენება, შენობის მარჯვენა, ჩიხის მხარეს გამავალ კედელში მცირე ზომის კიბის უჯრედი, რომელიც გვერდით (ჩიხის მხარე) მცირე კარით იხსნებოდა. ამჟამად კედელი თითქმის სრულად არის ჩამოშლილი და კიბის უჯრედის კვალი ღიად იკითხება.

ასევე ორი კიბე აქვს შიდა ეზოსაც, ორივე მათგანი გადაკეთებული უნდა იყოს, თუმცა ძალ'ხედ საინტრესოა ჰქონდა თუ არა თავდაპირველად მას ორი კიბე. აღნიშნული გარემოება, შესაძლებელია აიხსნას შენობის თავდაპირველი ორი მეპატრონით, რომლებიც ქუჩისა და ეზოს მხარეს ინდივიდულაური კავშირით სარგებლობდა.



მიუხედავად მძიმე ფიზიკური მდგომარეობისა, ვიზუალური დათვალიერებისას შენობაში შესვლა შევძელით. I სართულზე, ჩამოხეულ შპალერის მიგნით, ავტენტური კედლის დეკორატიული ნახატი იკითხება. პირველ სართულზე, ცენტრალურ ნაწილში კედლის ღუმელისა თუ ბუხარის კვალიც ჩანს. II სართულის ინტერიერში თავდაპირველი ხეში ნაკვეთი მარტივპროფილიანი კარებების ალათებია. ცენტრალურ ნაწილში ფასადზე გამავალი ხის კარიც ჩანს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ თავდაპირველად აღნიშნული ღიობი კარს წარმოადგენდა, შესაბამისად ფასადზე აივანის ელემენტიც უნდა ყოფილიყო, რომელიც მოგვიანებით მოისპო, ხოლო კარი ფანჯრად გადაკეთდა.











უკიდურესად მძიმეა შენობის ფასადის ნაწილის ფიზიკური მდგომარეობა, რომლის სადარბაზო მხარე მთლიანად ჩამოწეულია და საშიშია მობინადრეთათვის. სადარბაზოზე ჯერ კიდევ შემონახულია ძველი ხის კვეთილი კარი და ლითონის წინფრის კონსტრუქცია. ნაწილობრივ ჩამოქცეულია შენობის ქუჩის მხარეს არსებული ფასადიც. უმძიმეს მდგომარეობაშია შენობის შიდა ეზოც, სახლი მოსახლეობისგან არის დაცლილი.

შენობა არც თუ ისე დიდი ზომის მიწის ნაკვეთზეა განთავსებული, რომელსაც ეზოს მხრიდან ერთსართულიანი ბარაკული ტიპის ნაგებობები ესაზღვრება. ბარაკები უკან კი ალაზნის მცირე ქუჩა იხსნება.

შენობა XIX საუკუნის I სახევრის, თბილისური არქიტექტურის ერთ-ერთ საინტერესო მაგალითს წარმოადგენს, რომელსაც მიუხედავად ძალზედ მძიმე ფიზიკური მდგომარეობისა, მეტნაკლებად ინარჩუნებს მხატვრულ-არქიტექტურულ გამომსახველობას. შენობა ნაწილობრივ დაშლილია და მასში არამხოლოდ შესვლა, არამედ სიახლოვეს გავლაც კი საშიშია.

სწორედ შენობის მძიმე ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ ნაგებობა ნაწილობრივ დაშლილია მისი დემონტაჟი იგეგმება. ცხადია ძალზედ მნიშვნელოვანია არამხოლოდ ქალაქისთვის, არამედ

მიკროუბნისთვის ნაგებობის ავთენტურად შენარჩუნება, თუმცა რეალობა სხვა სურათს ასახავს. ვფიქრობთ გასათვალისწინებელია შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- ✓ უმთავრესად მოსამზადებელია კონსტრუქციული დასკვნა შენობის მდგომარეობის შესახებ. იმ შემთხვევაში თუ დასაბუთდება, რომ მისი ფიზიკური გადარჩენა შეუძლებელია, მოსამზადებელია შესაბამისი დემონტაჟის პროექტი;
- ✓ დემონტაჟის პროექტის შედგენისას (ისევე როგორც თავად პროცესი) უნდა განხორციელდეს არქიტექტორ-რესტავრატორის ზედამხედველობითა და ჩართულობით;
- ✓ შენობის დემონტაჟი უნდა განხორიელდეს არქიეტქტურული ანაზომის საფუძველზე. ამჟამად მისი საფსადაო სახე შეცვლილია, ნალესობის მოხსნა ფასადზე დააზუსტებს მის კომოზიციას, აივნების არსებობას და სხვა; და შემდეგ არქიეტქტურული ანაზომის შედგენისას უნდა გამოიკვეთოს დეტალები შენობის თავდაპირველი მხატვრული თუ არქიეტქტურული სახის შესახებ;
- ✓ დემონტაჟისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მომიჯნავედ არსებული თითქმის ყველა შენობის ფიზიკური მდგომარეობა მძიმეა. გასააზრებელია რისკები და შესამუშავებელია მეთოდი, რათა ავარიული შენობები დომინოს პრინციპით არ მიყვნენ ერთმანეთს;
- ✓ ძალზედ მნიშვნელოვანის ის ფაქტი, თუ დემონტაჟის შემდეგ რა ბედი ეწევა საპროექტო ტერიტორიას. დღეის მდგომარეობით შენობას კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი არ აქვს მინიჭებული, თუმცა ის ფონურ ნაგებობათა რიცხვშია. ამავდროულად გასააზრებელია, ის რომ ტერიტორია ძალზედ სენსიტიური არქიეტქტურული თუ ისტორიული მეხსიერებით არის დატვირთული, გარდა იმისა, რომ ის ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონაში მდებარეობს, მომიჯნავედ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინდივიდუალურ დაცვის არეალშია მოყოლილი, რაც კანონით განსაზღვრულ დაცვის რეჟიმს გულისხმობს;

- ✓ დღეის მდგომარეობით მისი რეკონსტრუქციის პროექტი არ არსებობს, თუმცა მისი დამუშავებისას გასათვალისწინებელია შენობის ყველა ის მახასიათებელი და ღირებულება რაც მას გააჩნია:
    - შენობის მასშტაბი და მისი როლი საერთო განაშენიანებაში;
    - შენობის ალაზნის ქუჩისკენ მიმართება და მისი ჩართულობა აღნიშნული ქუჩის სტრუქტურაში;
    - შენობის თავდაპირველი საფასადო კომპოზიცია;
    - ავთენტური სამშენებლო მასალა და არაჩვეულებრივი საფასადე კედლის წყობა;
    - შიდა ეზოს სტრუქტურა, ხის ღია აივნები, ეზოს შიდა ფასადის კომპოზიცია;
    - მცირე პლასტიკის დეტალები (ხის დორიული სვეტები,წინფრა, ხის კარებები და სხვა). სასურველია დემონტაჟისას მოხდეს აღნიშნული მასალის დასაწყობება და მეორადათ კვლავ გამოყენება.
- ✓ და ბოლოს კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ შენობა ისტორიული თუ ურბანული მეხსიერებით დატვირთულ, ძალზედ სენსიტიურ ადგილას მდებარეობს. სამწუხაროდ არამხოლოდ კონკრეტული შენობის, არამედ მიკროკვარტალის მდგომარეობა სავალალოდ მძიმეა. შესაბამისად ნებისმიერი სახის ცვლილება!! უნდა განხორციელდეს არამხოლოდ ინდივიდუალური, არამედ ზოგადად უბნის ინტერესების გათვალისწინებით ძალზედ ფაქიზად, ჩამოყალიბებული ურბანული თუ არქიტექტურული გარემოს გათვალისწინებითა და ანგარიშგაწევით.

თ. ღვინერია

ხელოვნებათმცოდნე: თ. ღვინერია

დამატებითი ფოტომასალა








JCB





განმარტებითი ბარათი

სადემონტაჟო ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში, არარატის ქ. №19/5-ში.

ძირითადი ორსართულიანი შენობა აშენებულია აბურის „კლასიკური" წყობით, ხოლო დამხმარე შენობები ბლოკის და აბურის კომბინაციით.

სადემონტაჟო შენობები საკმაოდ დაზიანებულია, ორსართულიანი შენობის სახურავი ნაწილობრივ დაშლილ მდგომარეობაშია, რაც ყოველდღიურად უფრო აზიანებს ისედაც ავარიული შენობის კედლებს და იატაკებს ნალექის სახით. ფასადების ნაწილი ჩამოშლილია. შიდა და გარე მზიდი კედლებიც ასევე დაზიანებულია და დანგრევის პირასაა. შიდა და გარე კიბეები თითქმის გამოუსადეგარია. დამხმარე შენობებიც ასევე საკმაოდ ავარიული და ფაქტიურად ისინი ნახევრად ჩამოშლილია.

გვსურს აღნიშნული შენობების სრული დემონტაჟი და ტერიტორიის გასუფთავება.

დემონტაჟის სამუშაოები ჩატარდება ეტაპობრივად, ძირითადად ხელით.

ქ. თბილისი 2018წ.	დამკვეთი: შპს „ს-5" ID 400099237	მისამართი: ქ. თბილისი, არარატის ქ. №19/5. საკ. 01.17.01.069.002	შუნჭციური დანიშნულება: დემონტაჟი	GT Studio architectural services მისამართი: ქ. თბილისი მუხიანი I-მ/რ; II-ქ; ბ-№108	თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თარიღი 23.04.2018	ნახაზი
ფორმატი A3	მ 1:100				დირექტორი	ბ. პაკელიანი		მასშტაბი მ 1:100	
					არქიტექტორი	ბ. პაკელიანი		სტადია	შურცელი	რაოდენობა

პირველი სართული
ფორმატი-A4 მ. 1:100



ქ. თბილისი 2018წ.		დამკვეთი შპს „ს-5" ID 400099237	მისამართი ქ. თბილისი, არარატის ქ. №19/5. საკ. 01.17.01.069.002	ფუნქციური დანიშნულება აზომვითი ნახაზი
ფორმატი A4	მ 1:100			

GT Studio architectural services

მისამართი: ქ. თბილისი მუხიანი I-მ/რ; II-კ; ბ-№108

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ზ. პაკელიანი	
არქიტექტორი	ზ. პაკელიანი	

თარიღი	02.05.2018	ნახაზი
მასშტაბი	მ 1:100	

სტადია	ფურცელი	რაოდენობა

მეორე სართული
ფორმატი-A4 მ. 1:100



ქ. ობოლისი 2018წ.	დამკვეთი	მისამართი	ფუნქციური დანიშნულება	GT Studio architectural services	თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თარიღი 02.05.2018	ნახაზი
ფორმატი A4 მ 1:100	შპს „ს-5" ID 400099237	ქ. ობოლისი, არარატის ქ. №19/5. საკ. 01.17.01.069.002	აზოგადი ნახაზი	მისამართი: ქ. ობოლისი შუხიანი I-ბ/ნ; II-ქ; ბ-№108	დირექტორი	ბ. პაკლიანი		მასშტაბი მ 1:100	
					არქიტექტორი	ბ. პაკლიანი		ხტაჟი	ფურცელი	რაოდენობა

გადახურვა
ფორმატი-A4 მ. 1:100



ქ. ობოლისი 2018წ.	დამკვეთი	მისამართი	ფუნქციური დანიშნულება	GT Studio architectural services	თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თარიღი	02.05.2018	ნახაზი
ფორმატი A4 მ 1:100	შპს „ს-5" ID 400099237	ქ. ობოლისი, არარატის ქ. №19/5. საკ. 01.17.01.069.002	აზომვითი ნახაზი	მისამართი: ქ. ობოლისი შუხიანი I-ფრ; II-ქ; ბ-№108	დირექტორი	ბ. პაკლიანი		მასშტაბი	მ 1:100	
					არქიტექტორი	ბ. პაკლიანი		ხტაღდა	ფურცელი	რაოდენობა

ჩრდილოეთ ფასადი
ფორმატი-A4 მ. 1:100



ქ. თბილისი
2018წ.

ფორმატი A4 | მ 1:100

დამკვეთი

შპს „ს-5"
ID 400099237

მისამართი

ქ. თბილისი,
არარატის ქ. №19/5.
საკ. 01.17.01.069.002

შენიშვნა დანიშნულება

აზომვითი ნახაზი

GT Studio
architectural services

მისამართი: ქ. თბილისი
მუხიანი I-მ/რ; II-კ; ბ-№108

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ბ. პაქელიანი	
არქიტექტორი	ბ. პაქელიანი	

თარიღი	02.05.2018
მასშტაბი	მ 1:100

ნახაზი

სტადია	შრომელი	რაოდენობა

დასავლეთ ფასადი
ფორმატი-A4 მ. 1:100



ქ. თბილისი 2018წ.	დამკვეთი	მისამართი	შენიშვნა
ფორმატი A4 მ 1:100	შპს „ს-5" ID 400099237	ქ. თბილისი, არარატის ქ. №19/5. საკ. 01.17.01.069.002	აზომვითი ნახაზი

GT Studio architectural services

მისამართი: ქ. თბილისი მშენიანი I-მ/რ; II-კ; ბ-№108

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ბ. პაკელიანი	
არქიტექტორი	ბ. პაკელიანი	

თარიღი	02.05.2018	ნახაზი
მასშტაბი	მ 1:100	

სტადია	შრიფტი	რაოდენობა

სამხრეთ ფასადი
ფორმატი-A4 მ. 1:100



ქ. თბილისი
2018წ.

ფორმატი A4 | მ 1:100

დამკვეთი

შპს „ს-5"
ID 400099237

მისამართი

ქ. თბილისი,
არარატის ქ. №19/5.

საკ. 01.17.01.069.002

შენიშვნა დანიშნულება

აზომვითი ნახაზი

GT Studio
architectural services

მისამართი: ქ. თბილისი
შეხიანი I-მ/რ; II-კ; ბ-№108

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ბ. პაქელიანი	
არქიტექტორი	ბ. პაქელიანი	

თარიღი	02.05.2018
მასშტაბი	მ 1:100

ნახაზი

სტადია	შრომელი	რაოდენობა

აღმოსავლეთ ფასადი
ფორმატი-A4 მ. 1:100



ქ. თბილისი 2018წ.	დამკვეთი	მისამართი	შენიშვნა
ფორმატი A4 მ 1:100	შპს „ს-5" ID 400099237	ქ. თბილისი, არარატის ქ. №19/5. საკ. 01.17.01.069.002	აზომვითი ნახაზი

GT Studio architectural services

მისამართი: ქ. თბილისი მშხიანი I-მ/რ; II-კ; ბ-№108

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ბ. პაქელიანი	
არქიტექტორი	ბ. პაქელიანი	

თარიღი	02.05.2018
მასშტაბი	მ 1:100

ნახაზი

სტადია	შრომელი	რაოდენობა



ქ. თბილისი 2018წ.	დამკვეთი: შპს „ს-5" ID 400099237	მისამართი: ქ. თბილისი, არარატის ქ. №19/5. საკ. 01.17.01.069.002	შენიშვნა: დემონტაჟი	GT Studio architectural services	თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თარიღი 02.05.2018	ნახაზი
ფორმატი A4	მ 1:200				დირექტორი	ბ. პაქელიანი		მასშტაბი მ 1:100	
					არქიტექტორი	ბ. პაქელიანი			
				მისამართი: ქ. თბილისი, შეხიანი I-მ/რ; II-კ; ბ-№108				სტადია	შრომელი	რაოდენობა

შრომის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი



სამუშაოების ჯამური ხანგრძლივობა 6 თვე.

დაამუშავა: გაგრატ აკელიანი

ქ. თბილისი 2018წ.		დამკვეთი: შპს „ს-5" ID 400099237	მისამართი: ქ. თბილისი, არარატის ქ. №19/5. საკ. 01.17.01.069.002	შენიშვნა: დემონტაჟი	GT Studio architectural services მისამართი: ქ. თბილისი მუხიანი I-მ/რ; II-კ; ბ-№108	თანამდებობა / გვარი / ხელმოწერა: დირექტორი ბ. აკელიანი; არქიტექტორი ბ. აკელიანი
ფორმატი A3	მ 1:100					თარიღი 23.04.2018; მასშტაბი მ 1:100; ნახაზი
						სტადია; შეკვეთა; რაოდენობა